შპს „საინჟინრო კომპანია პმკ“

---

7 სექტემბერი 2022 წ

განმარტებითი ბარათი –კონსტრუქციული დასკვნა

წარმოდგენილია ქ. თბილისში, ვარკეთილის III მ/რ კორპ. N304-ის მიმდებარედ საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე. მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის მოხდენის შესახებ.

წარმოდგენილია ქ. თბილისში, ვარკეთილის III მ/რ კორპ. N304-ის მიმდებარედ საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე. შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობა 8 სართულიანია, 1 სართულზე უნდა განთავსდეს ავტოსადგომი მის სიმაღლე 3.0 მ-ია შემდეგი ტიპიური სართულების კი - H=3,2მ. ნაგებობა გეგმაში მარტივი მოხაზულობისაა; მაქსიმალური მანძილი განაპირა ღერძებში 15,0 X34.45 მ-ია. მაქსიმალური მალი შეადგენს L=6.8 მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა რკინაბეტონის დიაფრაგმებით;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში ;გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II; სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ^2, ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა 50კგძ/მ^2.

შენობის ძირითადი მზიდი რკ.ბ-ის კონსტრუქციული ელემენტების ზომები: სვეტები: 500X500მმ; 400X1000მმ; მონოლითური დიაფრაგმები: 250მმ, სართულშუა გადახურვის ფილები: 180მმ, 220 მმ და 250მმ; სახურავის ფილა 180მმ; 220მმ და 250მმ; მონოლითური რიგელები: 400X600მმ; 200X600მმ; კიბის ბაქნები: 180მმ; ყველა ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტის ბეტონის მარკა B25 -ია, არმატურის კლასი A500C.პასუხისმგებლობის მიხედვით შენობა განეკუთვნება II კლასს; შენობის დაფუძნების პირობები: შენობა დაფუძნებულია 1სგე თიხნარზე ფენაზე (რომლის საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს R$_0$=3.2 კგძ/სმ^2) 900მმ სისქის არმირებული რკ. ბ-ის ფილის საშუალებით, რომლის ქვეშაც გათვალისწინებულიაა 100მმ სისქის B7,5 კლასის ბეტონის მომზადება და ასევე დატკეპნილი 200 მმ ხრეშის ბალიშის მოწყობა. (სგე I ფენა 1) გრუნტის ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლებია: 1.სიმკვრივე: p=1.88 ; 2.ხვედრითი შეჭიდულობა: C=48მპა ; 3.შინაგანი ხახუნის კუთხე : f=16^0 ; 4. დეფორმაციის მოდული : E = 15 მპა ; 5. საანგარიშო წინაღობა : R =300 კპა (3.0 კგ/სმ2) ; შენობისა

და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შესრულდა სტატიკურ და დინამიკურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის LIRA сапр-15 ის გამოყენებით შემდეგი დატვირთვების გათვალისწინებით: სტატიკური დატვირთვები; საანგარიშო მოდელში წარმოდგენილია სამი დატვირთვის სახით: 1) მუდმივი დატვირთვა: (რკ.ბ-ის საკუთარი წონა + იატაკის „სენდვიჩის„ წონა + გარე შემომფარგვლელი და ბინების გამყოფი კედლების დატვირთვა) 2) დროებითი ხანგრძლივი დატვირთვები: . (შიგნითა ტიხრების დატვირთვები) 3) ხანმოკლე დატვირთვები: ა) დროებითი სასარგებლო დატვირთვები СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»-ის მიხედვით. ბ) თოვლის დატვირთვა;

საპროექტო შენობას ჩრდილოეთის მხრიდან „4-4“ ღერძიდან, 20.5 მ-ის მანძილზე ემიჯნება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ს/კ 01.19.39.026.002) , რომლის საძირკვლებიც დაფუძნებულია კლდოვან ქანებზე ხიმინჯების მეშვეობით და ერთსართულიანი სატრანსფორმატორო ქვესადგურის უსარდაფო შენობა (ს/კ 01.19.39.026.006) „4-4“ ღერძიდან, 15.5 მ-ის მანძილზე. საპროექტო შენობას დასავლეთის მხრიდან „ა–ა“ ღერძიდან 5.0 მ-ის მანძილზე. ემიჯნება ერთსართულიანი ავტოფარეხები(ს/კ 01.19.39.026.001), რომლებსაც საძირკვლები არ გააჩნია. საპროექტო შენობას სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან „1-1“/ა-ა ღერძიდან 17.5 მ-ის მანძილზე ემიჯნება 8 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი(ს/კ 01.19.39.026.010). „1-1“ ღერძიდან სამხრეთით ემიჯნება სპორტული მოედანი. საპროექტო შენობას არმოსავლეთის მხრიდან „ი-ი“ ღერძიდან 24 მ-ის დაშორებით, მდებარეობს სამსართულიანი სკოლის შენობა(ს/კ 01.19.39.026.007). გრუნტის შინაგანი ხახუნის კუთხის გათვალისწინებით ($f=16^0$) გაანგარიშებულია საპროექტო შენობის საძირკვლის ფილის გავლენა ზემოჩამოთვლილ არსებულ შენობა-ნაგებობებზე (აგრეთვე აგებულია გრაფიკული ნახაზი). გამომდინარე აქედან პერიმეტრზე არსებულ შენობა-ნაგებობებთან საპროექტო შენობა იმყოფება დასაშვებ მანძილზე. გარდა ამისა სამეზობლო ნაკვეთებსა და საპროექტო შენობას შორის პროექტით გათვალისწინებულია გამწვანების ზოლი და შიდა კვარტალური გზები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საპროექტო შენობა პერიმეტრზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებზე რაიმე სახის უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს.

პროექტის მთ. კონსტრუქტორი: თ.ბულისკირია

07.09.2022